საიდ. N 78702/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N126-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძე, გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა კომპანიის „როტარ მაჩინერი ინდუსტრიალ კო., ლტდ.“ (ROTAR MACHINERY INDUSTRIAL CO., LTD.) N126-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 ივნისის N1112/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „TOPTUL“ (საიდ. N78702/03) რეგისტრაცია საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-8 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 ივნისის N1112/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „TOPTUL“ მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „გრუპა ტოპექს სპ. ზ ო.ო. სპ. კომანდიტოვა“ (Grupa Topex Sp. z o.o. Sp. Komandytowa) (მის: ულ. პოგრანიცზნა, PL-02-285, ვარშავა; 2/4, ul. Pograniczna 2/4, PL-02-285, Warszawa) სახელზე რეგისტრირებული კომბინირებული სასაქონლო ნიშნისა

(IR 981020, რეგ.თარიღი: 24/04/2008). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არის იმდენად დიდი ფონეტიკური მსგავსება, რომ იწვევს ნიშნების აღრევის შესაძლებლობას. რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს ახლავს გამოსახულება, მაგრამ აღნიშნული არ სძენს მას საკმარის განმასხვავებლობას, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-8 კლასის მსგავსი საქონლისათვის. აღნიშნულის გამო, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალისათვის.

აპელანტი კომპანია „როტარ მაჩინერი ინდუსტრიალ კო., ლტდ.“ (ROTAR MACHINERY INDUSTRIAL CO., LTD.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს საკმარისი განსხვავება, რომ მომხმარებლის მხრიდან არ მოხდეს დაპირისპირებული ნიშნებისა და მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევა.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი სიტყვიერია და შესრულებულია ლათინური, ასომთავრული და სტილიზებული შრიფტით. დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია. იგი შედგება გამოსახულებითი და სიტყვიერი ელემენტებისაგან. განცხადებული სასაქონლო ნიშანი „TOPTUL“ (საიდ. N78702/03) ერთ სიტყვიანია, შესრულებულია სტილიზებული ლათინული, ასომთავრული შრიფტით და არ აქვს აზრობრივი დატვირთვა. დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ელემენტი „TOP TOOLS“ შედგება ორი სიტყვისაგან „TOP“ და „TOOLS“, შესრულებულია ასევე სტილიზებული ლათინური შრიფტით და გააჩნია აზრობრივი დატვირთვა. მის პირველ სიტყვას „TOP” ქართულ ენაზე რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: „წვერი (მაგ. მთის წვერი)“, „რისამე წვეტიანი ბოლო“, „მწვერვალი“, „უმაღლესი-პირველი ადგილი“, „მაღალი დონე“, „უმაღლესი წერტილი“ და სხვა. ის არის შექებითი ფუნქციის მატარებელი და გამოიყენება აღმატებითი ხარისხის მაჩვენებლად. მეორე სიტყვის „TOOLS“ მნიშვნელობა ქართულ ენაზე არის: „ინსტრუმენტები“, „ხელსაწყოები“, „მოწყობილობები“, „სამარჯვები“ და ა.შ. მთლიანობაში აღნიშვნის „TOP TOOLS“ მნიშვნელობა ქართულ ენაზე არის მაღალი დონის, მაღალი ხარისხის ხელსაწყოები, ინსტრუმენტები, სამარჯვები. აპელანტის აზრით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი „TOPTUL“ ფანტაზიურია საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-8 კლასის იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, მაშინ როცა დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ელემენტი, განსაკუთრებით კი მისი მეორე ნაწილი, წარმოადგენს რა ამ ნიშნით დაცული მე-8 კლასის საქონლის სახეობის აღმნიშვნელ ტერმინს, აღწერილობითია ამ საქონლის მიმართ და „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის ობიექტი. განცხადებული სასაქონლო ნიშნის ვიზუალური და ფონეტიკური მსგავსება დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის სიტყვიერ ელემენტთან „TOP

TOOLS“ არ შეიძლება იყოს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. აპელანტის მტკიცებით, განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის განსხვავების დონეს ზრდის დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანში გამოსახულებითი ელემენტის, კერძოდ, სპეციალიზებულ სამოსში გამოწყობილი ხელოსნის გამოსახულების არსებობა, რომლის მაღლა აწეული ცერა თითი ასევე შექებით ხასიათს ატარებს და ხაზს უსვამს სიტყვის „TOP“ მნიშვნელობას ამ ნიშანში.

აპელანტი აღნიშნავს, რომ მისი კუთვნილი სასაქონლო ნიშანი „TOPTUL“ რეგისტრირებულია შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყებაში და ამ რეგისტრაციისათვის ევროპის ქვეყნებში ხელი არ შეუშლია არც საერთაშორისო რეგისტრაციის №981020 გავრცელებასა და დაცვას ევროპის ქვეყნებში და არც დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის მფლობელის სახელზე საერთაშორისო პროცედურით ევროპის ქვეყნებში დაცულ კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს (IR 827278), რომელიც ასევე შეიცავს სიტყვათა ერთობლიობას „TOP TOOLS“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 ივნისის N1112/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „TOPTUL“ (საიდ. N78702/03) რეგისტრაციას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. N126-03/15) უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „TOPTUL“ (საიდ. N78702/03) და დაპირისპირებული კომბინირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი

(IR 981020) არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს.

სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია, ვიზუალურად, ვინაიდან განცხადებული ნიშანი წარმოადგენს სტანდარტული ლათინური ასოებით შესრულებულ სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და სიტყვიერ აღნიშვნასთან „Top Tools“-თან ერთად შეიცავს მამაკაცის გამოსახულებას, რომელსაც თავზე ახურავს უსაფრთხოების ჩაფხუტი და მაღლა აქვს აწეულ ცერა თითი. ამასთან, დაპირისპირებულ ნიშანში დომინანტი ელემენტია მამაკაცის გამოსახულება, ვინაიდან სიტყვიერ აღნიშვნას „Top Tools“ არ გააჩნია დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა, იგი აღწერილობითი და არაგანმასხვავებელუნარია განცხადებული სასაქონლო ნიშნის მე-8 კლასის საქონლის მიმართ, კერძოდ, მიუთითებს საქონლის სახეობაზე და ხარისხზე. ამასთან, ნიშნები განსხვავებულია სემანტიკური თვალსაზრისით. განცხადებული სასაქონლო ნიშანს „TOPTUL“ (საიდ. N78702/03) არ აქვს აზრობრივი დატვირთვა, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ელემენტი „Top Tools“ ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „საუკეთესო ხელსაწყოები“. მართალია, ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად,

მაგრამ იმდენად დიდია დაპირისპირებულ ნიშნებს შორის ვიზუალური განსხვავება, რომ არ მოხდება ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. დაპირისპირებული ნიშნები განსხვავებულია, ასევე საერთო შთაბეჭდილებით, რასაც ისინი ახდენენ შესაბამის მომხმარებელზე.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „როტარ მაჩინერი ინდუსტრიალ კო., ლტდ.“ (ROTAR MACHINERY INDUSTRIAL CO., LTD.) სააპელაციო საჩივარი (N126-03/15) დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 ივნისის N1112/03 ბრძანება.

3. სასაქონლო ნიშანი „TOPTUL“ (საიდ. N78702/03) დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა,

სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: თ. ჯაფარიძე

ს. ებრალიძე